ეფექტური სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ინოვაციურ ჭიდილში

ირაკლი ჯანგავაძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: irakligig@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში სიახლეები მუდმივად იჭრებიან ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყანა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზას, შეიმუშავებს და ეფექტურად იყენებს სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას. იგი მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო რეგულირების სხვა მდგენელებთან: სამეცნიეროტექნიკურ, სტრუქტურულ და ინსტიტუციონალურ პოლიტიკასთან, რომლებიც გავლენას ახდენს სოციალურეკონომიკური პროცესების განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები

ინოვაციები, ინოვაციური პოლიტიკა, ინოვაციური საქმიანიბა, კონკურენტუნარიანობა, კომერციალიზაცია, კვლევადამუშავება, პროგრამული ჩარჩო, სამეცნიეროტექნიკური პოტენციალი, საპატენტო უფლება, ღონისძიებები.

ძირითადი ტექსტი

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა არის სამეცნიეროტექნიკური და სოციალურეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ინოვაციური საქმიანობისადმი, განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის სტრატეგიულ მიზნებს, მიმართულებებსა და მეთოდებს, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში არსებული მიღწევების კომერციალიზაციის ხელშეწყობას და სხვ.

ინოვაციურ პოლიტიკაში გამოყოფენ ორ მხარეს:[1] **სტრატეგიულსა** და **ტაქტიკურს**. სტრატეგიული გრძელვადიან და შედარებით ფართომასშტაბიან სამუშაოებს ისახავს მიზნად და გულისხმობს, როგორც ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, ასევე მეცნიერული პოტენციალის რაციონალური გამოყენების ოპტიმალური მეთოდების შერჩევას. ტაქტიკური კი მოიცავს მნიშვნელოვანწილად ისეთი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას (კვლევებისა და დამუშავებების დაფინანსება, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება, მატერიალურტექნიკური უზრუნველყოფა) რომელთაც ძალუძთ დასახული მიზნების ეფექტური განხორციელება.

ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფო ზემოქმედების ღონისძიებები შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ან ირიბი, ასევე სინთეზური.[2]

პირდაპირ ღონისძიებებს მიეკუთვნება სამეცნიეროკვლევითი და საცდელსაკონსტრუქტორო სამუშაოების საბიუჯეტო (სახელმწიფო) დაფინანსება, სახელმწიფო შეკვეთები, ზოგიერთი სახის სამრეწველო პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა და სხვ.

ირიბი ღონისძიებები (მწყობრი სტაბილიზატორები) აიძულებენ ინოვაციურ საწარმოს და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას იმუშაოს თვითრეგულირების რეჟიმში. მაგ.: საგადასახადო სტიმულირება კვლევებსა და დამუშავებებზე, საამორტიზაციო შეღავათები, სამეცნიეროტექნიკური კოოპერაციის განვითარება და ა.შ.

სინთეზურ (შერეულ) ღონისძიებებს შეიძლება მივაკუთვნოთ საპატენტოსალიცენზიო რეგულირება. პირდაპირი რეგულირების თვალსაზრისით ქვეყანაში შემუშავებული საკანონმდებლონორმატიული ბაზა იცავს საქონლის მწარმოებელს ინოვაციების შექმნისა და გამოყენების გარე ხელყოფისგან, ხელს უშლის მათ დიფუზიას. ირიბი რეგულირების მხრივ კი იგი შეიძლება გარკვეულწილად გახდეს სხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ

[1] ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006, „სიახლე", გვ. 66.

[2] ლ. ქოქიაური., ნ. ქოქიაური. ინოვაციები, თბ., 2015 გვ. 211.

მნიშვნელობას იძენს ინოვაციური სფეროს განვითარების პროგნოზირებისათვის საჭირო **მდიდარი ინფორმაციული ბაზა**. აღნიშნული უმთავრესად ეფუძნება სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის ოფიციალურ მონაცემებს. ინფორმაციული წყაროებიდან მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერებათა აკადემიისა და მისი განყოფილებების ანგარიშგებები, ასევე ეკონომიკის სამინისტროს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზული შეფასებები, განათლების სამინისტროს მონაცემთა ბაზები დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შესახებ, უცხოეთის საპროგნოზო-ანალიტიკური მასალები, პერიოდული პრესის მონაცემები მეცნიერული კვლევადამუშავებების დაფინანსების შესახებ და სხვ.[3]

მსოფლიო გამოცდილების განზოგადება შესაძლებელს ხდის ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფო **ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიზნები**:

- ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული სეგმენტების გამოვლენა და ხელშეწყობა;
- ეკონომიკური, იურიდიული და ორგანიზაციული პირობების შექმნა ინოვაციური საქმიანობისთვის;
- ნორმატიულსამართლებრივი (საკანონმდებლო) ბაზის ფორმირება, რომელიც დაარეგულირებს ინოვაციურ პროცესებს (მოისაზრება ინტელექტუალური საკუთრების უზრუნველყოფაც);
- უნივერსიტეტის, როგორც უმთავრესი კვლევითი დაწესებულების, მნიშვნელობის გააზრება და განათლების პოლიტიკის დონემდე აყვანა;
- ინოვაციური საქმიანობის ძირითადი ორგანიზაციული ფორმების (ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, მცირე ინოვაციური საწარმოები, ვენჩურული და სადაზღვეო ფონდები) შექმნა და ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ინტენსიური მშენებლობა.
- კადრების მომზადების ეფექტური სისტემის დაარსება, რომელიც მოწოდებულ იქნება ინოვატიკის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.
- ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების ფორმირება, როგორც სახელმწიფო (საბიუჯეტო), ასევე კერძო სექტორის დონეზე;
- ეროვნული ინოვაციური ფონდის დაარსება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სეგმენტის ჩამოყალიბება და შესაბამისი მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარება;
- იმპორტჩანაცვლებადი და კონკურენტუნარიანი სამამულო პროდუქციის წარმოების განვითარება ინოვაციების დანერგვის საფუძველზე.

ინოვაციური პოლიტიკის ძირითად ამოცანას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებს სამამულო ინტელექტუალური პოლიტიკისა და თანამედროვე ტექნიკის მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად[4].

ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების შედეგები შეიძლება იყოს:

- **რესურსდაზოგვის ხარისხობრივად ახალი დონე,** რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ხარისხის ამაღლება მისი მასალა და ენერგოტევადობის შემცირების გზით.
- **სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხარისხობრივად ახალი სოციალური მიმართულება** – ეკოლოგიურად სუფთა, ტექნიკურად უსაფრთხო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება.
- **მოსახლეობის ხარისხობრივად ახალი ცხოვრების დონის მიღწევა** – ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, რაც უმთავრესად ინოვაციური საქმიანობის სფეროში ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევით მიიღწევა.

აშშ-ის ინოვაციური პოლიტიკა

სამაგალითოა აშშ-ის დამოკიდებულება ინოვაციური საქმიანობისადმი. ამერიკელები ინოვაციებს ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად და ცხოვრების უმაღლესი დონის მიღწევის ძირითად საშუალებად მოიაზრებენ. აქ ინოვაციური პოლიტიკა ორიენტირებულია შემდეგი საკითხების გადაჭრაზე: ხელსაყრელი კლიმატის შექმნა კერძო სექტორის ინოვაციური საქმიანობისთვის და ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; მსოფლიო კლასის ტექნოლოგიების წარმოების ინვესტირება ვაჭრობისა და მრეწველობის ხელშეწყობის მიზნით;

[3] ლ. ქოქიური., ნ. ქოქიური. ინოვაციები, თბ., 2015 გვ. 207

[4] სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა - [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16355]

ცოდნაზე დაფუძნებული (კონკურენტუნარიანი) სამუშაო ძალის ფორმირება და სხვ.[5]

აშშ ერთერთი გამონაკლისია იმ ქვეყნებიდან, სადაც კანონმდებლობაში რეგულარულად ხდება ცვლილებების შეტანა, მოქნილი და ეფექტური საპატენტო უფლებების მქონე სისტემის ფორმირების მიზნით. იგი ფედერალურ სააგენტოებსა და კერძო სექტორს შორის ევოლუციური ურთიერთკავშირის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. დაახლოებით მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ქვეყანაში რიგი ეფექტური კანონები იქნა მიღებული, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულია **„ბეიდოულისა"** და **„სტივენსონუაიდლერის კანონი ტექნოლოგიური ინოვაციების შესახებ".**

1980 წლამდე აშშის მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ გამოგონებებზე მართვის უფლებას იტოვებდა რის გამოც ამერიკული ინოვაციების კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე ყოველდღიურად ეცემოდა. ბეიდოულის კანონის თანახმად უნივერსიტეტებსა და სხვა კვლევით დაწესებულებებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გამოგონებებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლება მიეცათ.

„სტივენსონუაიდლერის" კანონმა კი ტექნოლოგიების ტრანსფერთან დაკავშირებული საკითხები დაარეგულირა. აღნიშნული კანონი უფრო გამტკიცდა შემდგომში მიღებული ორი ნორმატიული აქტის საფუძველზე: 1) **„ფედერალური ტექნოლოგიების ტრანსფერის შესახებ"** (Federal Technology Transfer Act, 1986) და 2) **„ეროვნული კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების ტრანსფერის შესახებ"** (National Competitiveness Technology Transfer Act, 1989). პირველი მათგანი შეეხებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ ფედერალურ ლაბორატორიებს, ხოლო მეორე უნივერსიტეტებისა და სამეწარმეო ფირმების მმართველობაში არსებულ ლაბორატორიებს. აღნიშნულმა საკანონმდებლო აქტებმა მოაწესრიგეს სალიცენზიო შეთანხმებების დადებისა და როიალტის განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები, ამასთანავე **სათავე დაუდეს სამეწარმეო ფირმებისა და ლაბორატორიების მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელებას,** რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ.

აშშის ინოვაციური პოლიტიკის ერთგვარ ფუნდამენტს წარმოადგენს ჰენრი ეცკოვიცისა და ლუთ ლეიდესდორფის „სამმაგი სპირალის მოდელი"[6], რომელსაც 3 სუბიექტი ჰყავს: უნივერსიტეტი, ბიზნესი და სახელმწიფო. **უნივერსიტეტი ამუშავებს იდეას, სახელმწიფო ქმნის ნორმატიულ ბაზას, ბიზნესი უზრუნველყოფს რესურსებს.**

აღნიშნული მოდელი ეფუძნება იმ პროგრესულ იდეას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში **უნივერსიტეტია ინოვაციური საქმიანობის ძირითადი ბირთვი.**

სამრეწველო საწარმოები ტრადიციულ საქმიანობასთან, ანუ პროდუქციის წარმოებასთან ერთად, თავიანთ სტრუქტურულ ერთეულებს უნივერსიტეტების ტექნოპარკებში ქმნიან, რითაც კვლევით ჯგუფებთან მჭიდრო კონტაქტში შედიან, რაც შესაძლებელს ხდის კომერციული დანიშნულების უფრო მეტი ახალი საქონელი დამუშავდეს.

„სამმაგი სპირალის" ახალი მოდელი წარმოიშვა ორი ურთიერთგადამკვეთი სპირალის: **უნივერსიტეტები საწარმოები** და **სახელმწიფო უნივერსიტეტები** გადაკვეთის შედეგად. იგი აშშში დაიწყო და დღესაც ინოვაციური მეწარმეობის საფუძველია. თუმცა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე, ამ გამოცდილების კოპირება სხვისთვის შეიძლება არაპერსპექტიული აღმოჩნდეს.[7]

ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა

ევროკავშირი საფუძვლიანად მოისაზრება მსოფლიოში ერთერთ ლიდერად სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების სფეროში. მის წილად მოდის **კვლევებზე გამოყოფილი მსოფლიო დაფინანსების მოცულობის 24%, პუბლიკაციების 32% და საპატენტო განაცხადების 32%.** აღნიშნული ციფრები მართლაც შთამბეჭდავია, **მაშინ როდესაც ევროკავშირის ტერიტორიაზე მსოფლიო მოსახლეობის 7% ცხოვრობს.** კვლევითი პროცედურების მაღალი სტანდარტები, სამეცნიერო ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება, ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება – ევროპის სხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან კოლაბორაციის უმთავრეს პირობას წარმოადგენს.[8]

ევროკავშირი ასევე გამოირჩევა სხვადასხ-

[5] ИННОВАЦИОННАЯ ПОЛИТИКА ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН - Проблемы формирования инновационной экономики, М. С 127.

[6] **Henry Etzkowitz & Loet Leydesdorff (2000),** The dynamics of innovation: from National Systems and ''Mode2'' to a Triple Helix of university-industry-government rela-tions, Research Policy, vol 29, pp. 109-123

[7] ჯოლია გ; კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ. 2016, გვ 141.

[8] ГОРИЗОНТ 2020 - Рамочная программа ЕС по исследованиям и инновациям.Практическое руководство для исследователей из России. 2014-2020.

ცხრ. 1 ევროკავშირის მიერ შემუშავებული პროგრამების პერიოდიზაცია

პროგრამული ჩარჩო	**პერიოდი**	**ბიუჯეტი (მლრდ.)**
1	1984-1988	€3.75
2	1987-1991	€5.396
3	1990-1994	€6.6
4	1994-1998	€13.215
5	1998-2002	€14.96
6	2002-2006	€17.883
7	2007-2013	€50.521 + €2.7
8	2014-2020	€80

ვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით გაცვლითი პროგრამების და აკადემიური მობილობის კუთხით. მაგ.: წარმატებით ფუნქციონირებს „მარია სლადოვსკაიაკიურის სახელობის პროგრამა", „ერაზმუს+", ასევე ევროპის კვლევითი საბჭოს საგრანტო სისტემა და სხვ.

ინოვაციური განვითარების კურსი ევროკავშირმა რეალურად მას შემდეგ აიღო, რაც ე.წ. **„პროგრამული ჩარჩოების" (Framework Programmes)** შემუშავება და გამოცემა დაიწყო. აღნიშნული ძირითადად ემსახურება ევროკავშირის ზონაში კვლევებისა და დამუშავებების ფინანსური ხელშეწყობის მიზნებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ შექმნილია პროგრამული ჩარჩოების საერთო ფონდი, განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები და კონკურსის საფუძველზე ხდება საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტების დაფინანსება.[9]

პროგრამული ჩარჩოების პრაქტიკა სათავეს იღებს 1984 წლიდან. აღსანიშნავია, რომ პირველი 6 პროგრამიდან თითოეულის ხანგრძლივობა 5 წელი იყო, თუმცა მე-7-ე პროგრამიდან მათი ხანგრძლივობა 7 წლამდე გაიზარდა. (იხ. ცხრილი)[10]

2000 წელს ევროკავშირმა **ევროპის ერთიანი კვლევითი სივრცის** (European Research Area) შექმნის ინიციატივა წამოაყენა. მიზნად დაისახეს რიგი ამოცანების გადაჭრა – წამყვანი კვლევითი ცენტრების ქსელის შექმნა; ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება და განვითარება; რეგიონების ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში პატენტის გაფორმება ძალიან ძვირია, რადგან **ყველა ევროპული ქვეყანა ლეგიტიმურად ცნობს მხოლოდ მის სახელმწიფო ენაზე გაფორმებულ პატენტს**. შესაბამისად, ყველა ევროპულ ენაზე პატენტის გადათარგმნა კოლოსალურ სამუშაოს მოითხოვს – დღესდღეობით ევროპაში პატენტი **ითარგმნება 23 ენაზე**. შედეგად კი, **ევროპული პატენტის გაფორმება ამერიკულთან შედარებით 11-ჯერ ძვირი ღირს**. ანალოგიურად რთულად მიმდინარეობს პატენტების დაცვის პროცედურაც.

ევროკავშირის პოლიტიკა მიმართულია დაეხმაროს ეკონომიკურად სუსტ რეგიონებს და ამ გზით მეტნაკლებად აღმოფხვრას მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობა. ევროკავშირში აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება **სტრუქტურული ფონდები. ეკონომიკური დახმარება იგზავნება იმ რეგიონში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მშპ 75%-ზე ნაკლებია**.

2002 წლის ბარსელონას დეკლარაციაში კი დასახულ იქნა კონკრეტული ციფრობრივი მონაცემების მიღწევის მიზანი – 2010 წლისათვის ევროკავშირის ყველა ქვეყანაში დანახარჯების წილი კვლევებსა და დამუშავებებზე მშპ-ის 3% უნდა გამხდარიყო (არსებული 1.9%ის ნაცვლად). აღნიშნულში იგულისხმებოდა, რომ დანახარჯების 2/3 კერძო სექტორს უნდა გაეწია, ხოლო 1/3 სახელმწიფოს.[11]

ეკონომიკური გათვლებით დანახარჯების 3%მდე გაზრდა გამოიწვევდა მშპის ზრდის ტემპის ყოველწლიურ მატებას 0.5%ით, რაც თავის მხრივ 2010 წლისათვის დამატებით

[9] http://www.bio-economy.ru/ramochnaya_programma_es/7_ramochnaya_programma_es/

[10] Рамочные программы ЕС по развитию научных исследований и технологий [www.wikipedia.ru]

[11] Инновационная политика: Европейский опит-Министерство образования и науки Россиской Федераций. М. 2012. С 18.

[12] Новая инновационная политика ЕС - Шелюбская Наталья Владимировна, старший научный сотрудник Института мировой экономики и международных отношений РАН (Россия). С 1.

ცხრ. 2 ევროკავშირის სტრუქტურული ფონდები

ევროპის სოციალური ფონდი (European Social Fund, ESF)
ევროპის სასოფლო-სამეურნეო ფონდი (European Agricultural Guidance and Guarantee Fund, EAGGF)
თევზჭერის საფინანსო ფონდი (Financial Instrument for Fisheries Guidance, FIFG)

400 000 სამუშაო ადგილს შექმნიდა.[12]

„ჰორიზონტი 2020" – წარმოადგენს ევროკავშირის ისტორიაში ყველაზე მძლავრ ინოვაციურ პროგრამას 80 მილიარდიანი ბიუჯეტით. იგი გათვლილია შვიდ წელიწადზე (20142020). დაფინანსების მაქსიმალური შედეგიანობის მისაღწევად პროგრამა 3 ძირითად ნაწილად იყოფა: **მოწინავე მეცნიერება, ინდუსტრიული ლიდერობა და სოციალური გამოწვევები.**

მოწინავე მეცნიერების განყოფილება მოწოდებულია აამაღლოს ინოვაციური ბიზნესის კონკურენტუნაიანობა, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, გააუმჯობესოს ცხოვრების დონის ხარისხი და სხვ. იგი მოიცავს დაფინანსების 4 მიმართულებას: ევროპის კვლევითი საბჭო, მარია სლადოვსკაიაკიურის სახელობის პროგრამა, მომავლის ტექნოლოგიები და კვლევითი ინფრასტრუქტურა.

ინდუსტრიული ლიდერობა – გულისხმობს კვლევების, დამუშავებების და დემონსტრაციული საქმიანობის მხარდაჭერას. ასევე სტანდარტიზაციას და სერტიფიკაციას ინოფორმაციულკომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში, ნანო და ბიოტექნოლოგიებში. მნიშვნელოვანია მოწინავე ტექნოლოგიების წარმოება და მუდმივი სრულყოფა.

სოციალური გამოწვევები – კონკრეტული სოციალური პრობლემების მოგვარება მოითხოვს როგორც რესურსების, ასევე კომპეტენციის გაერთიანებას ცოდნის, ტექნოლოგიებისა და დისციპლინების სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების უმთავრეს ინსტრუმენტს, გონივრული ინოვაციური პოლიტიკის გატარება და მისი ყოველდღიური სრულყოფა წარმოადგენს. თუმცა აღნიშნული საკითხი მეტად სენსიტიურია – ინოვაციური პოლიტიკის წარმართვა, რომელიც შესაძლებელია არ ითვალისწინებდეს ქვეყნის ეროვნულისტორიული თავისებურებების მიმართებას ინოვაციური სისტემის ფორმირებასთან, დიდი ალბათობით არაეფექტური და საფრთხის შემცველიც შეიძლება იყოს.

უკანასკნელ ათწლეულში, როგორც აშშში, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში, დაინერგა ინოვაციური განვითარების მასტიმულირებელი ახალი ფორმები და მეთოდები. ინოვაციურიმა პოლიტიკამ მიიღო კომპლექსური, სისტემური და გრძელვადიანი ხასიათი განსაზღვრული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ორიენტირებით, ხოლო ერთსულოვანი პოლიტიკა ხელისუ-

ფლებისა და კერძო ბიზნესის დამაკავშირებელ „ლოკომოტივად" იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ქოქიაური., ნ. ქოქიაური. ინოვაციები, თბ. 2015 გვ. 207

2. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006, „სიახლე", გვ. 66

3. ჯოლია გ; კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ. 2016, გვ 141.

4. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16355]

5. ИННОВАЦИОННАЯ ПОЛИТИКА ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН. Проблемы формирования инновационной экономики, М. С 127

6. Henry Etzkowitz & Loet Leydesdorff (2000), The dynamics of innovation: from National Systems and ''Mode2'' to a Triple Helix of universityindustrygovernment relations, Research Policy, vol 29, pp. 109123

7. ГОРИЗОНТ 2020 Рамочная программа ЕС по исследованиям и инновациям.Практическое руководство для исследователей из России. 20142020

8. http://www.bioeconomy.ru/ramochnaya_programma_es/7_ramochnaya_programma_es/

9. Рамочные программы ЕС по развитию научных исследований и технологий [www.wikipedia.ru]

10. Инновационная политика: Европейский опитМинистерство образования и науки Россиской Федераций. М. 2012

11. Новая инновационная политика ЕС Шелюбская Наталья Владимировна, старший научный сотрудник Института мировой экономики и международных отношений РАН (Россия)

THE ROLE AND IMPORTANCE OF EFFECTIVE STATE INNOVATIVE POLICY IN THE WORLD

IRAKLI JANGAVADZE
Doctoral at GTU
E-mail: irakligig@gmail.com

Summary

News In the modern world economic continues to invade all spheres of life. World experience shows that countries that give priority to the development of the national economy in an innovative way to design and effectively uses the innovative policy. It is closely related to the regulation of other components: scientifictechnical, structural and institutional policies that affect the socioeconomic development processes.